

საპროექტო ტერიტორიის სახელოვნებათმცოდნეო-

### ანალიტიკური კვლევა

ქ. თბილისი. მერაბ ქოსტავას I შესახევი №3

შ.კ.ს. საბურთალო



შემსრულებელი:

სელოვნებათმცოდნე: მაია იზორია

თბილისი

2012

## მდებარეობა

ახალმშენებარე ობიექტის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს **მტკვრის** მარჯვენა სანაპიროს მთიანი ფერდის ზოლში, მდინარის ზედა დონეზე პარალელურად განლაგებული ქალაქის მნიშვნელოვანი სატრანსპოტო არტერის, მერაბ კოსტავას მაგისტრალის საწყისი მონაკვეთის მიმდებარე მიკროუბანში, რომელიც ისტორიულად ვერეს უბანს, ხოლო ადმინისტრაციულად ძველი თბილისის გამგეობას, ვერის ზონას ეკუთვნის. საპროექტო მიწის ნაკვეთი (1000კვ.მ) განთავსებულია ოდნავ დაქანებულ რელიეფზე გაყვანილი მერაბ კოსტავას მაგისტრალის კენტი ნუმერაციის მარჯვენა რიგისა და მისივე I შესახვევის (№3) დასაწყისის კუთხეში, მოვაკებულ ადგილას, რომლის ხედები ერთდროულად იშლება მთავარი ქუჩისა და პერპენდიკულარულად განვითარებული შესახვევის გასწვრივ. როგორც რელიეფზე განვითარების მიკროუბნის ვრცელი ტერიტორია დაკვალულია ურთიერთპარალელური ვიწრო გზების ქსელით.



მთიანი რელიეფის მაღალ ტერასაზე მდებარე პეტრე მელიქიშვილის (ყოფ. წენეთის გზა), ქუჩიდან მიკროუბნისაკენ დაღმართად ჩაგდებართ შალვა დამბაშიძის (ყოფ. შემის საზიდი-დროვოვზნაია, წილკნის), მერაბ კოსტავას I შესახვევისა (ზედა ტოტი) და იაკობ ნიკოლაძის (ყოფ. დუშეთის) პერპენდიკულარულად გამავალ ქუჩებს, რომლებიც ზედაწელში იკვეთებიან პ.მელიქიშვილის პარალელური გიორგი ქუჩიშვილის (ყოფ. მატერიალური) ქუჩით. ქვედა ტერასაზე, მ.კოსტავას (ყოფ. დიდმის, რუსეთის, ოლდას, ლენინის


პროსპექტი) მაგისტრალის მეორე მხარეს, შ.ლამბაშიძის ქუჩისა და მ.კოსტავას 1 შესახვევის მონაკვეთში, მას პერპენდიკულარულად უერთდებოან **ლუარსაბ ბოცვაძის** ქუჩის მოქლე ტოტი და **მერაბ კოსტავას** 1 შესახვევი (სატიო/სატივეს, მორსაზიძის, ვერის), რომელიც თავდაპირველად, ეშვება ასფალტის საფარიანი სამანქანო გზით, ხოლო შემდეგ მკვეთრად უხვევს და ირიბად აღმართული მადალი სახლით „იკეტება“, აქ სამანქანო გზა წყდება და სახლის ცოკოლის სართულის გავლით ქვეითად მოსიარულები თავდაღმართით აგრძელებენ მოძრაობას. დღესდღეობით, მ.კოსტავას ქუჩა მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან დამაკავშირებელ მნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიას წარმოადგენს.



უბნის ამ მონაკვეთში XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიულ ნაგებობებთან (საცხოვრებელ სახლებთან) ერთად ჩართულია საბჭოთა პერიოდისა და ახლო წარსულში აღმართული მოცულობები.


**საპროექტო ტერიტორია,** რომლის ნაკვეთზეც დაწყებულია მჭიდროდ მიდგმული უსახური ქოხმახების დემონტაჟი, ორივე მხრიდან (მ.კოსტავას №45,47) თანამედროვე მაღალი შენობებით იფარგლება. ისტორიული ნაგებობები მას უშუალოდ არ ემიჯნება. ძეგლები მდებარეობენ ქუჩის ამ ნაწილის საწყის და გმირთა მოედნისაკენ მოქცეულ მონაკვეთებზე. მარცხნივ განთავსებულია ისტორიული ნაგებობები №43,41,35,27, მარჯვენა მხარეს ყოფ. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა დამისამართებულია №69-ით. მ.კოსტავას I ჩიხის მოპირდაპირე მხარეს

მარცხნივ დგანან სახლები №42, 40, 28, მარჯვნივ ერთადერთი ძეგლია, სახლი №54. მიკროუბნის დანარჩენი ისტორიული ნაგებობები მ.კოსტავასა და პ.მელიქიშვილის ქუჩებს შორის არსებულ ძლიერ დაქანებული ფერდობის სივრცეშია მიმოვანტული.



### უბის ისტორიულ-ურბანული გაცვილარება

საპროექტო ტერიტორია მოქცეულია მტკვრის მარჯვენა სანაპიროს დაქანებულ ფერდობზე, ისტორიული გერეს უბნის ქვედა წელში ე.წ. ქვედა გერეზე. უბანი გერე ამჟამად ცნობილია როგორც გერა, რაც სათავეს იღებს ამავე დასახელების მდინარე გერედან (ადრე საკირეთო-სკორეთი ერქვა). წერილობით წყაროებში მოხსენიებული სოფ. ვერე აზნაურ გაბაშვილების მამული ყოფილა. შეა საუკუნეებში, "წყნეთის გზის" (პ.მელიქიშვილის ქუჩა) ქვედა ხაზს, ახლანდელ მერაბ კოსტავას ქუჩას მიუყვებოდა დიღმის საქარავნო გზა. იგი XVIIIს-დან გახდა "რუსეთის გზა", ხოლო XIX ს-დან ოლდას ქუჩის სახელი




მიენიჭა. გმირთა მოედანზე გამავალ მის მონაკვეთს კი ჯვრის ქუჩა დაერქვა. ვერის ხიდსაც ჯვრის ხიდს ეძახდნენ, რაც უკავშირდება ყოფ. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ტერიტორიაზე 1846 წელს აღმართულ თუჯის ჯვარს. იგი დადგეს ამ ადგილას გადაბრუნებული ეტლიდან რუსეთში მიმავალი ნიკოლოზ I-ის სახულებრივი გადარჩენის აღსანიშნავად. ჯვარი XXს-ის 20-იან წლებში აიდეს, როდესაც მდ. ვერეზე ახალი ქვის ხიდი გადეს, ქუჩა ხელოვნურად აამაღლეს და შეუერთეს საქართველოს სამხედრო გზას

880-იანი წლებიდან დაწყებული ვერის ტერიტორიის განაშენიანება საპოექტო ობიექტის მიკროუბანს არ შექმნა აქ გამლილი სასაფლაოს გამო. XIXს-ის 20-იან წლებში ლაგუნა ვერეს ადგილას მოწყობილი იყო ტივისადგომი, რომელსაც გუახლოვდებოდით ვერის შესახვევით. მიკროუბის ამ ნაწილს ამიტომაც



ეძახდნენ სატიოს, ხოლო მისასვლელ გზას სატივე/სატიოს შესახვევს. ვინაიდან აქედან მორებს ეზიდებოდნენ მას მოგვიანებით, მორსაზიდის შესახვევი ეწოდა. ამის შემდეგ გახდა ვერის შესახვევი, დღეს კი მკონტავას I შესახვევია. სასაფლაოს საზღვრებში, XII ს-ის ლურჯი მონასტრისა და XVIIIს-ის იოანე ღვთისმეტყველის რუსული ეკლესიის გარდა იდგა წმინდა წლებში სასაფლაოს გადატანისას დაანგრიეს. საპოექტო ობიექტის ნიშნულზე, ვერის შესახვევის კუთხეში დამის გასათვევი სახლი ფუნქციონირებდა, ხოლო საპირისპირო მხარეს, შესახვევის მოპირდაპირე კუთხეში განლაგებული იყვნენ მსროლელთა ბატალიონის ყაზარები. XIX ს-ის მიწურულიდან მთავარი ქუჩის განაშენიანებას საცხოვრებელი ნაგებობები ქმნიდნენ. გზის ქვედა მონაკვეთის ათვისება შედარებით გვიან, XX ს-ის 20-30-იანი წლებიდან იწყება.. საბჭოთა პერიოდში, 1921 წლიდან, ოლღას ქუჩას ლენინის პროსპექტი ეწოდა, 1989 წლიდან დღემდე კი მერაბ კოსტავას ქუჩაა.



გიორგის ტაძარიც, რომელიც 1930-იან დაანგრიეს. საპოექტო ობიექტის ნიშნულზე, ვერის შესახვევის კუთხეში დამის გასათვევი სახლი ფუნქციონირებდა, ხოლო საპირისპირო მხარეს, შესახვევის მოპირდაპირე კუთხეში განლაგებული იყვნენ მსროლელთა ბატალიონის ყაზარები. XIX ს-ის მიწურულიდან მთავარი ქუჩის განაშენიანებას საცხოვრებელი ნაგებობები ქმნიდნენ. გზის ქვედა მონაკვეთის ათვისება შედარებით გვიან, XX ს-ის 20-30-იანი წლებიდან იწყება.. საბჭოთა პერიოდში, 1921 წლიდან, ოლღას ქუჩას ლენინის პროსპექტი ეწოდა, 1989 წლიდან დღემდე კი მერაბ კოსტავას ქუჩაა.

**ფულისის რუსები** - XIX ს-ის ბოლო მესამედის ტფილისის რუსებზე ვერის უბანი მოქცეულია ქალაქებარეთ.

1907 და 1913 წლების ტფილისის გეგმებზე მიკროუბანი ადმინისტრაციულად შეივანილია პოლიციის I განყოფილებაში.

გაჩნდა ვერის სასაფლაო. 1907 წლის რუქაზე

**№12-ით** დატანილია წმინდა გიორგის

სახელობის ეკლესია, **№14-ით** იოანე

ღვთისმე

ტყველის

რუსული

და

ანდრია

პირველწ

ქართული



ეკლესიები.

ორივე რუქაზე საკვლევი

ობიექტის ადგილას **№55-ით** აღნიშნულია

დამის გასათევი სახლი,

მოპირდაპირე



ოდებულის (ლურჯი მონასტერი) ქართული ეკლესიები. ორივე რუქაზე საკვლევი მოპირდაპირე ადგილას **№55-ით** აღნიშნულია დამის გასათევი სახლი, მოპირდაპირე



მხარეს **№57-ით** ყაზარმები. მთავარი ქუჩა თლდას სახელობისაა, შესახვევის სახელწოდება მითითებული არ არის. 1907 წლის გეგმაზე საკვლევი მოპირდაპირ, თლდას ქუჩის პერიმეტრზე **№10-ით** აღნიშნულია სამხედრო საოლქო სასამართლოს შენობა.

საბჭოთა პერიოდის 1924 წლის ქალაქის გეგმაზე მხოლოდ ქუჩებია აღნიშნული,

შენობები დანომრილია განმარტების გარეშე. ობიექტი კვლავ **№55-ია.** ახლანდელი მ.კოსტავას, თლდას ქუჩის მონაკვეთი ლენინის პროსპექტის სახელითაა გატანილი.

### საპროექტო ტერიტორიის არსებული განაშენიანება

მ.კოსტავას შესახვევის ასგალტის საფარით მოგებული ვიწრო ქუჩის არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს აყალიბებს სტილისტურად მრავალფეროვანი, განსხვავებული სიმაღლის მჭიდროდ მიჯრილი ნაგებობათა განაშენიანება, რომელთა რიგი წითელ ზოლს არ იცავს და, ქუჩის კონტურების სისწორეს არღვევს. სხვადასხვა დროისა და სტილის საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები განთავსებულია შესახვევის დასაწყიში.

დღესდღეობით ახალმშენებლობა დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელებული ამორტიზებული ქობმახების დემონტაჟის ადგილას. საპროექტო ტერიტორიას მარჯვნიდან უახლოვდება მ.კოსტავას ქუჩის სიღრმეში წამოჭიმული ბოლო ათწლეულის მაღლივი საცხოვრებელი კორპუსი. მარცხივ

**დგას პორიზონტალურად განვითარებული მძიმე, მასიური, ეპლუქტური ფასადის**



მქონე 1970-იანი წლების ფუნქციონალიზმის სტილით გადაწყვეტილი ყოფ. ტექნიკური ბიბლიოთეკის, ამჟამად სამორინე „ევროპას“ მრავალსართულიამი (7) კომპლექსი., რომლის მარჯვენა ფრთას შესახვევში აგრძელებს ბოლო ათწლეულში გაშენებული საცხოვრებელი კორპუსების კვარტალი. საპროექტო ობიექტს შესახვევის მხარეს ემიჯნება გასული საუკუნის შუახანებში აგებული კეპელიძის სახ. სპორტული (კალათბურთის) დარბაზის მოცულობა, ცოკოლის ყრუ სართულითა და ფართო დიობებით დანაწევრებული დამაგვირგვინებელი სართულით.. მასთან სტილიტურად ახლოა გვერდიგვერდ აღმართული 3 დონიანი სკოლის შენობა. შენობების არასწორი კონფიგურაციით განლაგება სიღრმეში გადის ამავე ტერასაზე გაშლილ ვერის ტყე-პარკის მწვანე საფარში. მის გასწვრივ, შესახვევის გზა თავდაღმართით ეშვება და მოძრაობას აგრძელებს საცხოვრებელი კორპუსის ქვედა გასასვლელის გავლით გასული საუკუნის შუახანების თბილწყალის ორფრთიანი შენობისაკენ, საიდანაც შესაძლებელია საწყლოსნო კომპლექსის ტერიტორიაზე გასვლა.

## დასკვნა და რეკომენდაციები

მიკროუბნის არქიტექტურულ-მხატვრული სახის ძირითადი მახასიათებლები XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა, როდესაც უკროპული და ნაციონალური ელემენტების სინთეზირებით ნაგებმა 2-3 სართულიანმა სახლებმა აითვისეს ტერიტორიის დიდი ნაწილი. ქუჩის განაშენიანების სტილისტური მრავალფეროვნება საბჭოთა პერიოდში აღმართულმა საზოგადოებრივმა შენობებმა განაპირობეს, რომელთა მხატვრულ გადაწყვეტას ფსევდოეროვნული, კლასიცისტური და რენესანსული მოტივების თანაარსებობით მიღწეული ეკლექტურობა ახასიათებს და მიზნად ისახავს ადაპტირებული სტრუქტურის საფასადო სახის შექმნას. ისტორიულ განაშენიანებასთან სინთეზირებისათვის აგრეთვე გამოყენებულია შენობათა პროპორციული შეფარდება.

XX საუკუნის მანძილზე მიკროუბნის ისტორიულ განაშენიანებას არაერთგზის შეეხო რეკონსტრუქცია. თავდაპირველად, **1930-იანი წლების თბილისის გენეგებით** გათვალისწინებული სამუშაოებით ვერის ძველი სასაფლაოს ადგილას გაშენდა ტყე-პარკი საზაფხულო თეატრით. **1950-იანი წლების რეკონსტრუქციის დროს** ქუჩის პერიმეტრზე აიგო სოფლის მეურნეობის სამინისტროს კლასიცისტური სტილით შესრულებული მაღალი პომპეზური შენობა. **1970-იან წლებში რეკონსტრუქციისას** მ.კოსტავასა და პ.შელიქიშვილის გადაკვეთის ადგილას მოედნის სახით ჩამოყალიბდა სატრანსპორტო კვანძი, სადაც აღიმართა ფილარმონიის მაშტაბური მოცულობა (არქ. ი.ჩხენკველი, შ.გაზაშვილი, 1971წ.). ვერის ბაღში აშენდა შახმატის სასახლე (არქ. დ.ალექსიმესხიშვილი, გ.ღუდუშაური, 1973წ.), ტექნიკური ბიბლიოთეკის მაღლივი ნაგებობა (საქმშენი, 1975წ.) მიკროუბნის განაპირას, მტკვრის სანაპიროზე ფუნქციორირება დაიწყო „ლაგუნა ვერებ“ (არქ. შ.ყავლაშვილი, რ.კიკნაძე, 1978წ.), მიკროუბნის თანამედროვე სახის ჩამოყალიბება დაასრულა მოგვიანებით გადებულმა ვერის ახალმა ქვის ხიდმა. **XXI საუკუნის დასაწყისიდან აქ შეოლოდ მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები შენდება, რომლებიც კონტრასტულად იკითხებიან შესახვევის დასაწყისში მდებარე ქოხმახების ფონზე. ყოველივე ამან მოითხოვა საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული უსახური ნაგებობების აღება.**

ეს ადგილი წარმოადგენს თბილისის საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიას, სადაც ძველთაგანვე გადიოდა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერია. ამიტომ ქუჩის ისტორიულ განაშენიანებაში ახალმშენებარე ობიექტის სტრუქტურის გაჩენამ არ უნდა გამიიწვიოს არსებული ხედის მხატვრულ-არქიტექტურული სახის მკვეთრი ცვლილება და არ უნდა დაარღვიოს ჩამოყალიბებული განაშენიანების ერთიანი მასშტაბი.

1 ახალი მოცულობის დაპროექტებისას გასათვალისწინებულია ძველი გეგმარებითი სტრუქტურა და ქუჩის კონტურები.

- 2 სართულიანობა არ უნდა აცდეს ქუჩის პერიმეტრზე დომინირებულ სამორინე „ევროპას“ შენობის სიმაღლეს.
- 3 მნიშვნელოვანია ახალი შენობის საფასადო ხედების გათვალისწინება როგორც მ.კოსტავას ქუჩის, ,ასევე მისივე შესახევების მხრიდან;
- 4 ფასადების გადაწყვეტისას უნდა მოხდეს ქუჩის არქიტექტურაში წარმოდგენილი რომელიმე ისტორიული სტილის, ან სტილთა ტრანსფორმაცია-მოდერნიზაცია და თანამედროვე კომპოზიციურ სტრუქტურაში ორგანული შეკავშირება, რაც ისტორიულ ნაგებობებთან ახალი მოცულობის ჰარმონიაში მოყვანას განაპირობებს.
- 5 შესახევების სივრცეში არსებული ძველი გეგმარებითი სტრუქტურა ახალი მოცულობის მდებარეობასაც მთავარი ქუჩის სიღრმეში განაპირობებს. ამიტომ განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს მ.კოსტავას ქუჩისაკენ მიბრუნებული ფასადისა და მისი მიმდებარე მიწის ზოლის მწვანე საფარით მოწყობას.
- 6 ახალი მოცულობა შეიძლება აღდგეს გასულ საუკუნეებში ამ ადგილას არსებული სასტუმროს ფუნქციით

**ხელოვნებათმცოდნე:**

**მაია იზორია**